



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

უსაფრთხოების მიმოხილვა

ზურაბ ბატიაშვილი

თურქეთის როლი 2021 წლის გაზაფხულზე
მიმდინარე რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაში

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის
ფონდი 2021

2021 წლის გაზაფხულზე უკიდურესად დაიძაბა კიევი-მოსკოვის ურთიერთობები და უკრაინა სრულმასშტაბიანი რუსული ინტერვენციის საფრთხის წინაშე დადგა. სამხედრო მოქმედებების დაწყებას კი შესაძლოა თურქეთისთვის არასასურველი გეოპოლიტიკური ცვლილებები მოჰყოლოდა შავ ზღვაზე.

ამრიგად, ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ანკარამ ღიად დაუჭირა მხარი კიევს, როგორც დიპლომატიური, ისე სამხედრო თვალსაზრისით და თურქეთმა, ამავე დროს, მონტროს კონვენციის გადახედვის შესაძლებლობაზეც მიანიშნა.

ამ ყველაფერმა რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია და თურქეთის მიმართ მკაცრი ნაბიჯებიც გადადგა, რამაც შავი ზღვის რეგიონში ახალი სახის საფრთხეები და გამოწვევები წარმოშვა.

თურქეთის პოზიცია რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებაში

თურქეთი და რუსეთი ბევრ საერთაშორისო საკითხში (სირია, ლიბია, ყარაბაღი და ა.შ.) თანამშრომლობენ და ზოგიერთ მათგანში დასავლეთის წინააღმდეგაც საერთო პოზიციით გამოდიან.

თუმცა, არის საკითხები, სადაც მათი ინტერესები არათუ არ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ ეწინააღმდეგება კიდევ. ასეთი დაპირისპირების ერთ-ერთი რეგიონი უცილობლად არის შავი ზღვა, სადაც რუსეთის გავლენის ზრდა ყოველთვის იწვევს ბუნებრივ შეშფოთებას თურქეთში.

ამგვარად, ამ ორი ქვეყნის ქმედებები ამ რეგიონში ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება: მაშინ, როდესაც მოსკოვი ახდენს საქართველოს რეგიონების (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი) ოკუპაციას, ყირიმის ანექსიას და ხელს უწყობს სეპარატიზმსა და ომს აღმოსავლეთ უკრაინაში და ეწინააღმდეგება ამ ქვეყნების დასავლეთთან ინტეგრაციას, ანკარა მხარს უჭერს საქართველოსა და უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ეწინააღმდეგება რუსეთის მიერ ამ ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაციასა და ემხრობა მათ ნატოში გაწევრიანებას.¹

შავ ზღვაზე რუსეთსა და თურქეთს შორის განხეთქილების ყველაზე მთავარი წერტილი კი არის ყირიმის ნახევარკუნძული, რომელსაც მოსკოვი საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს, თურქეთი კი - უკრაინის მიწად. ამასთან, თურქეთში სამართლიანად ფიქრობენ, რომ სწორედ უკრაინის შემადგენლობაში ყოფნისას იქნება საუკეთესოდ დაცული მათთან ისტორიულად, ლინგვისტურად და კულტურულად

¹ Nur Özkan Erbay, Developments on the Moscow-Ankara line and the Ukraine crisis, <https://www.dailysabah.com/politics/news-analysis/developments-on-the-moscow-ankara-line-and-the-ukraine-crisis>

ახლოს მდგომი ყირიმელი თათრების უფლებები და სამხედრო ბალანსი შავ ზღვაზე არ იქნება რუსეთის მხარეს გადახრილი.²

MAP 1

The Black Sea Region




SOURCE: Heritage Foundation research.

BG3614 heritage.org

რუსეთის გავლენის ზრდა შავი ზღვის აუზში

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ რუსეთმა დე ფაქტო გაიფართოვა საკუთარი ტერიტორიული წყლებისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის (EEZ) ფართობი შავ ზღვაზე, თანაც იმგვარად, რომ ზღვის საშუალებით ჩაჭრა უკრაინა-თურქეთის ერთმანეთთან დაკავშირების საშუალება.

² ზურაბ ბატიაშვილი, „თურქეთი და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი“, უსაფრთხოების მიმოხილვა, 2021, <https://www.gfsis.org/files/library/pdf/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2941.pdf>



ტერიტორიული წყლებისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების დე ფაქტო ცვლილება შავ ზღვაზე რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ

აღსანიშნავია, რომ ყირიმის განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობა, რუსეთის ანექსიის შემდეგ, უარყოფითად აისახება თურქეთის საჰაერო უსაფრთხოებაზეც, რადგან იქ განლაგებული რუსული რაკეტები. ერთი მხრივ, წვდება თურქეთის საჰაერო სივრცეს და მეორე მხრივ, აფერხებს შავი ზღვის თავზე თურქული სამხედრო თვითმფრინავების უსაფრთხო ოპერირების შესაძლებლობას.³

აღსანიშნავია, რომ ანკარა მუდმივად ცდილობს კიევის თავდაცვითი შესაძლებლობების გაზრდას. ასე, მაგალითად, მან 2020 წლის თებერვალში ხელმოწერილი ორმხრივი ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებულება აიღო

³ ზურაბ ბატიაშვილი, „თურქეთი და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი“, „უსაფრთხოების მიმოხილვა“, 2021
<https://www.gfsis.org/files/library/pdf/%E1%83%97%kE1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2941.pdf>

უკრაინის შეიარაღებული ძალების საჭიროებისთვის ერთი წლის განმავლობაში გამოეყო 36 მლნ აშშ დოლარის ღირებულების დახმარება.⁴

სამხედრო სფეროში თურქულ-უკრაინული თანამშრომლობა განსაკუთრებით გააქტიურდა ყარაბაღის მეორე ომში (2020 წლის შემოდგომა), როცა გამოვლინდა თურქულმა უპილოტო საფრენი აპარატების შესაძლებლობები. მაგალითად, 2020 წლის დეკემბერში ორ ქვეყანას შორის გაფორმდა სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ მთელი რიგი ხელშეკრულებები, რომელიც გულისხმობს როგორც საზღვაო კატარღების, ისე უპილოტო საფრენი აპარატების ერთობლივ წარმოებასა და შესაბამისი ტექნოლოგიების ტრანსფერს.⁵

ეს საკითხი თურქეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა 2020 წლის შემოდგომის შემდეგ, როდესაც კანადურმა მხარემ თურქეთს შეუწყვიტა გარკვეული ტექნოლოგიების მიწოდება ყარაბაღის მეორე ომში თურქული უპილოტო საფრენი აპარატების აქტიური გამოყენების გამო.⁶ თურქული მხარე სწორედ უკრაინული ტექნოლოგიებით აპირებს კანადურის ჩანაცვლებას, რაც, ერთი მხრივ, გაანეიტრალებს კანადურ ემბარგოს, მეორე მხრივ კი, 35%-ით შეამცირებს წარმოებული დრონების თვითღირებულებას.⁷

ისიც უნდა ითქვას, რომ მანამდე უკრაინამ, ჯერ კიდევ 2019 წელს, 12 ერთეული თურქული (კომპანია „ბაირაქთარის“) წარმოების დრონი შეიძინა.⁸

ამ ეტაპზე კიევი დაინტერესებულია, რომ მისმა შეიარაღებულმა ძალებმა დამატებით მიიღოს კიდევ 48 ერთეული უპილოტო საფრენი აპარატი. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის შეიარაღებულ ძალებს სულ 107 დრონი აქვს, ამ რაოდენობის უპილოტო საფრენი აპარატების მიღება უკრაინისთვის ძალზე სერიოზული შენაძენი იქნება.⁹

⁴ Mehmet Fatih Ceylan, What Role for Turkey in the Crisis between Russia and Ukraine?, <https://www.gmfus.org/publications/what-role-turkey-crisis-between-russia-and-ukraine>

⁵ Mehmet Fatih Ceylan, What Role for Turkey in the Crisis between Russia and Ukraine?, <https://www.gmfus.org/publications/what-role-turkey-crisis-between-russia-and-ukraine>

⁶ Burak Ege Bekdil, Canadian block on drone parts shows Turkey's defense industry still not independent, <https://www.defensenews.com/global/europe/2020/10/13/canadian-block-on-drone-parts-shows-turkeys-defense-industry-still-not-independent/>

⁷ Ukraine considering buying Turkey's Bayraktar drones - Turkish media, <https://ahvalnews.com/turkey-defence-industry/ukraine-considering-buying-turkeys-bayraktar-drones-turkish-media>

⁸ Nitin J Ticku, Bolstered By Turkish Bayraktar TB2 Drones, Ukraine Steps-Up Pressure Against Russia – Reports, <https://eurasianimes.com/impressed-by-turkish-bayraktar-tb2-drones-ukraine-using-drones-more-actively-against-russia>

⁹ Ukraine considering buying Turkey's Bayraktar drones - Turkish media, <https://ahvalnews.com/turkey-defence-industry/ukraine-considering-buying-turkeys-bayraktar-drones-turkish-media>

ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის კრიზისის ზენიტში თურქეთმა მიანიშნა, რომ ანკარამ შესაძლოა გადახედოს მონტროს კონვენციის პირობებს, რომლის მიხედვითაც იზღუდება არაშავიზღვისპირა ქვეყნების (პირველ რიგში, აშშ-ის) სამხედრო გემების ყოფნა შავ ზღვაში.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ამ მინიშნებიდან მალევე, 9 აპრილს, დაურეკა თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდორანს და პირველი, რაც ჰკითხა, მონტროს კონვენციის შემდგომი ბედი იყო.¹⁰ ცხადია, რუსული მხარე კონვენციის გადასინჯვის შესაძლებლობას შემფოთებით უყურებს, რადგან ამით შესაძლოა გაიზარდოს დასავლეთის სამხედრო ძალების ყოფნა შავ ზღვაზე.¹¹

ზემოაღნიშნულს დაემატა ისიც, რომ რუსეთ-უკრაინის კრიზისის ზენიტში, 2021 წლის 10 აპრილს, თურქეთს ოფიციალური ვიზიტით ეწვია უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი და მოლაპარაკებები გამართა თურქ კოლეგასთან რეჯეფ თაიფ ერდოღანთან.¹²



თურქეთისა და უკრაინის პრეზიდენტების შეხვედრა სტამბოლში 2021 წლის 10 აპრილს

¹⁰ Putin underscores importance of Montreux Convention preservation to Erdogan, <https://tass.com/politics/1276201>

¹¹ ზურაბ ბატიაშვილი, „თურქეთი და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი“, უსაფრთხოების მიმოხილვა, 2021

¹² Turkey's Erdogan voices support for Ukraine amid crisis, <https://www.dw.com/en/turkeys-erdogan-voices-support-for-ukraine-amid-crisis/a-57157898>

უკრაინის პრეზიდენტის თურქეთში ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრებისას თურქულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაარწმუნა უკრაინის პრეზიდენტი, რომ თურქეთი კვლავაც განაგრძობდა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას და მასთან არც სამხედრო სფეროში დაწყებულ თანამშრომლობაზე იტყოდა უარს.

რუსეთის საპასუხო რეაქცია

რა თქმა უნდა, მოსკოვში ყურადღებით აკვირდებოდნენ რუსეთ-უკრაინის კრიზისის მიმდინარეობისას მესამე ქვეყნების განცხადებებსა და ქმედებებს. შესაბამისად, კრემლს მხედველობიდან არ გამოორჩენია ამ მისთვის მეტად მნიშვნელოვანი კრიზისის პერიოდში უკრაინის მიმართ თურქეთის აქტიური მხარდაჭერის ფაქტი.

თურქეთში ზელენსკის ვიზიტის შემდეგ 2 დღეში, 12 აპრილს, ჯერ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა მკაცრად გააფრთხილა თურქეთი უკრაინისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის გამო,¹³ ხოლო იმავე საღამოს მოსკოვმა პირველი „სადამსჯელო“ ნაბიჯიც გადადგა - რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერმა ტატიანა გოლიკოვამ განაცხადა, რომ რუსული მხარე 15 აპრილიდან 1 ივნისამდე აჩერებდა ყველა სახის ფრენას (როგორც რეგულარულ, ისე ჩარტერულ რეისებს) თურქეთის მიმართულებით. მ ნაბიჯის ოფიციალურ მიზეზად Covid-19-ის პანდემიის გამო თურქეთში შექმნილი რთული ეპიდემიოლოგიური სიტუაცია დასახელდა.¹⁴

ყველასთვის ნათელია, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება პანდემიის გამო არ მომხდარა (ფრენები ხორციელდებოდა 2020 წელს, თურქეთში მძიმე ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მიუხედავად, რის შედეგადაც გასულ წელს 2,1 მილიონი რუსი ტურისტი ეწვია თურქეთს დასასვენებლად¹⁵) - როგორც ხშირად ახასიათებს მოსკოვის გადაწყვეტილებებს, ამ შემთხვევაშიც მთავარი მოტივი არსებული პოლიტიკური ვითარება იყო.

ანკარას იმედი ჰქონდა, რომ შეძლებდა რუსულ მხარესთან მოლაპარაკებას და 2021 წლის 1 ივნისიდან აღდგებოდა ფრენები ორ ქვეყანას შორის, მაგრამ მას ეს იმედი გაუცრუვდა - მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში საგრძნობლად იკლო

¹³ Russia urges Turkey, others to stop supplying arms to Ukraine,

<https://www.dailysabah.com/world/europe/russia-urges-turkey-others-to-stop-supplying-arms-to-ukraine>

¹⁴ Elena Teslova, Russia suspends flights with Turkey until June 1, <https://www.aa.com.tr/en/europe/russia-suspends-flights-with-turkey-until-june-1/2206559>

¹⁵ In 2020 Russian tourist flow to Turkey decreased by 69,7%, <https://russtd.com/in-2020-russian-tourist-flow-to-turkey-decreased-by-69,7.html>

კორონავირუსით დაავადების შემთხვევებმა და თითქოს ეს ველარ უნდა ყოფილიყო ფრენებზე უარის თქმის ოფიციალური საბაზი, რუსეთმა მაინც უარი განაცხადა თურქული მხარის წინადადებაზე აღდგენილიყო ფრენები.¹⁶

ცხადია, რუსეთმა ფრენების შეჩერებით დაარტყა ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ თურქეთის ეკონომიკას. უფრო კონკრეტულად კი, იზარალა თურქულმა ტურიზმის სფერომ, სადაც მოსალოდნელი ზარალი შესაძლოა მილიარდობით აშშ დოლარი იყოს. ზარალის ზუსტი მოცულობის დადგენა ძნელია, რადგან ამ ეტაპზე არავინ იცის, აღდგება თუ არა ფრენები თურქეთსა და რუსეთს შორის და თუ აღდგება, როდის იქნება ეს შესაძლებელი.

ეს რომ უახლოეს ხანში ვერ მოხერხდება, ნათლად გამოჩნდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის მიერ 2021 წლის 24 მაისს გაზეთ „არგუმენტ ი ფაქტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, სადაც მან კიდევ ერთხელ გააფრთხილა თურქეთი უკრაინისთვის გაწეული სამხედრო დახმარების გამო და მოუწოდა ანკარას შეწყვიტოს ასეთი ქმედებები.¹⁷

ამ განცხადებიდან კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მიუხედავად ფრენების შეწყვეტისა, არც თურქეთს შეუჩერებია უკრაინისთვის სამხედრო დახმარება და არც რუსეთი ერიდება ამ ფაქტთან დაკავშირებით საკუთარი უკმაყოფილების გამოთქმას.

დასკვნები

- ანკარამ რუსეთ-უკრაინის კრიზისის მიმდინარეობისას კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ იგი მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური აქტორია რეგიონში, რომელიც საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს;
- ანკარას, მიუხედავად მის ეკონომიკაში არსებული სერიოზული სირთულეებისა, არ აშინებს ის შედეგები, რაც შესაძლოა მოჰყვეს მეორე მხარის კონტრნაბიჯებს (ამ შემთხვევაში - რუსეთის არაოფიციალური სანქციები);
- თურქეთისთვის სულ ერთი არაა, რა სახის სამხედრო-პოლიტიკური სურათი იქნება შავი ზღვის რეგიონში. ამიტომ იგი კვლავაც მხარს უჭერს უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მათი ნატოში შესაძლო გაწევრიანების საკითხს;

¹⁶ Firat Kozok, Turkey Fails to Convince Russia to Begin Flights in Tourism Blow, <https://www.bloomberg.com/news/articles/2021-05-18/turkey-fails-to-convince-russia-to-begin-flights-in-tourism-blow>

¹⁷ Russia warns Turkey over ties with Ukraine, <https://www.aljazeera.com/news/2021/5/24/russia-warns-turkey-over-ties-with-ukraine>

- ანკარამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ თურქეთი რჩება ერთადერთ რეგიონულ ძალად რუსეთის სამხრეთით, რომელსაც შეუძლია სერიოზული სირთულეები და დისკომფორტი შეუქმნას მოსკოვს ამ მიმართულებით;
- თურქეთის მიერ რუსეთისთვის გაწეული წინააღმდეგობის ხარისხი დიდწილად დამოკიდებული იქნება თურქეთ-დასავლეთის (უპირველეს ყოვლისა, თურქეთ-აშშ-ის) ურთიერთობების სიმყარეზე. მაგრამ ეს უკანასკნელი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ ეტაპზე ძალზე დაბალ დონეზეა. ეს კი ზღუდავს თურქეთის მიერ რუსეთისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობებს.